ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

2015 წელი

ადამიანის უფლებების სწავლებისა
და მონიტორინგის ცენტრი

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება
2015 წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით
და
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

სარჩევი

	გვერდი
მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა	**3**
დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	**4**
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება **2015** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	**6**
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება	**7**
წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება	**8**
ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება	**9**
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	**10**
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები	**11 - 18**

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მენეჯმენტის პასუხისმგებლობის განსაზღვრა

თანდართულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (შემდგომში „ორგანიზაცია") ხელმძღვანელობა.

ეს პასუხისმგებლობა მოიცავს:

- სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებას ფინანსური ანგარიშგების საფუძვლების შესაბამისად;
- ფინანსური აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკების შერჩევას და მათ გამოყენებას;
- დასაბუთებული და წინდახედული სააღრიცხვო შეფასებების გაკეთებას;

მენეჯმენტი აგრეთვე პასუხისმგებელია:

- შექმნას, დანერგოს და შეინარჩუნოს შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა;
- აწარმოოს ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისი სააღრიცხვო ჩანაწერები;
- მიიღოს მისთვის გონივრულობის ფარგლებში ხელმისაწვდომი ყველა ზომა, რომ დაიცვას ორგანიზაციის აქტივები;
- თავიდან აიცილოს და აღმოფხვრას თაღლითობა და სხვა შეუსაბამობები და დარღვევები.

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მიერ და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

აღმასრულებელი დირექტორი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

დეა ულენტი

ფინანსური მენეჯერი
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა
ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი
ი. აბაშიძის ქუჩა #12 ა
თბილისი, საქართველო

ფინანსური ანგარიშგების იდენტიფიცირება

1. ჩვენ ჩავატარეთ ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (შემდგომში "ორგანიზაცია") თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე საქმიანობის შედეგების ანგარიშგებას, წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგებას, ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგებასა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით, აგრეთვე მნიშვნელოვან საღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

მენეჯმენტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და უტყუარად და სამართლიანად წარდგენაზე პასუხისმგებელია ორგანიზაციის მენეჯმენტი. ეს პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც არ შეიცავს შეცდომებით თუ თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; შესაბამისი საღრიცხვო პოლიტიკების შერჩევას, მათ მიზანმიმართულად გამოყენებას და სიტუაციისათვის შესაბამისი საღრიცხვო შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების შესახებ. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტები ჩვენგან მოითხოვს ეთიკურ მოთხოვნებთან შესაბამისობას და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

   აუდიტი მოიცავს პროცედურებს, აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის განსჯაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა თუ შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების არსებობის რისკის შეფასებას. რისკის ასეთი შეფასებისას, აუდიტორი განიხილავს იმ შიდა კონტროლის მექანიზმებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რათა დაგეგმოს არსებული პირობებისათვის შესაფერისი აუდიტორული პროცედურები, მაგრამ არა იმ მიზნით, რომ გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობის შესახებ. აუდიტი აგრეთვე მოიცავს გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის შესაფერისობის შეფასებასა და მენეჯმენტის მიერ გაკეთებული საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობის, ასევე მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

   გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია ჩვენი აუდიტისათვის.

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა (გაგრძელება)

მოსაზრება

4. ჩვენი აზრით, წარმოდგენილი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, უტყუარად და სამართლიანად ასახავს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობას 2015 წლის 31 დეკემბრისათვის, მისი საქმიანობის შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას წლისათვის, რომელიც დასრულდა აღნიშნული თარიღით და შეესაბამება სააღრიცხვო პოლიტიკას, როგორც ეს აღწერილია შენიშვნა 2-ში.

მნიშვნელოვანი გარემოება

5. დასკვნის მოდიფიცირების გარეშე ყურადღებას ვამახვილებთ იმ ფაქტზე, რომ 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი შესადარისი ინფორმაცია კორექტირებულია ჩვენს მიერ მხოლოდ შესადარისობისათვის და არ არის აუდირებული. შესაბამისად, ჩვენ არ გამოვხატავთ ჩვენს მოსაზრებას ამ მონაცემებზე.

მიშა აბაიაძე / პარტნიორი

ივლისი 27, 2016
თბილისი, საქართველო

Morison Georgia * 206331691 * ამორტიზ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	**31-დეკ-2015**	**31-დეკ-2014**
მიმდინარე აქტივები			
ნაღდი ფული და ფული ბანკში	3	258,195	93,220
მისაღები გრანტები	4	333,537	196,520
სხვა მოთხოვნები		3,858	9,264
მარაგები		857	-
სულ მიმდინარე აქტივები		**596,447**	**299,004**
ძირითადი საშუალებები	5	18,582	19,078
სულ აქტივები		**615,029**	**318,082**
ვალდებულებები და წმინდა აქტივები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები		1,342	-
გადავადებული შემოსავალი	6	565,825	292,476
მიღებული ავანსები		7,981	-
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**575,148**	**292,476**
წმინდა აქტივები		39,881	25,606
სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები		**615,029**	**318,082**

ფინანსური ანგარიშგება თანდართული შენიშვნების ჩათვლით 2016 წლის 27 ივლისს დამტკიცებული და ხელმოწერილია:

თამთა მიქელაძე

აღმასრულებელი დირექტორი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი

დეა ჟღენტი

ფინანსური მენეჯერი

ადამიანის უფლებების სწავლებისა და
მონიტორინგის ცენტრი

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ცვლილებები შეუზღუდავ წმინდა აქტივებში	**2015** წელი	**2014** წელი
შემოსავალი		
BMZ - 03	53,824	-
HBS BMZ	30,263	-
DEATD-CANADA	4,632	-
The State of Netherlands	60,193	-
U.S Embassy	17,357	25,536
USAID (ACCESS)	40,742	-
NED 1153	51,682	12,253
RFSU	20,916	-
The State of Netherlands (DUTCH)	95,229	55,667
OSGF 19775	45,673	28,180
GIZ	16,431	14,180
NED 1181	5,334	-
U.S Embassy	-	24,333
COE	-	46,719
OSGF 19305	-	15,881
OSGF 19624	-	31,294
Taso Fund	-	1,690
Women's Fund	-	2,874
British Embassy Tbilisi	-	9,181
Eurasia Partnership Foundation	-	32,433
G-PAC	-	21,336
სულ შემოსავალი	**442,278**	**321,557**
ხარჯები		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(448,759)	(326,953)
წმინდა შედეგი საკურსო სხვაობებიდან	20,756	8,717
სულ ხარჯები	**(428,003)**	**(318,236)**
(ზრდა)/შემცირება წმინდა აქტივებში	14,275	3,321
წმინდა აქტივები წლის დასაწყისში	25,606	22,285
წმინდა აქტივები წლის ბოლოს	**39,881**	**25,606**
დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	-	-
შეუზღუდავი წმინდა აქტივები	39,881	25,606
სულ წმინდა აქტივები	**(39,881)**	**(25,606)**

წმინდა აქტივებში ცვლილებების ანგარიშგება

	შეუზღუდავი წმინდა აქტივები	დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები	მუდმივად შეზღუდული წმინდა აქტივები	სულ
ნაშთი 2014 წლის 1 იანვრისთვის	**22,285**	-	-	**22,285**
გრანტი და შემოწირულობები	321,557	-	-	**321,557**
ხარჯების დაფინანსება	(318,236)	-	-	**(318,236)**
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბრისთვის	**25,606**	-	-	**25,606**
გრანტი და შემოწირულობები	442,278	-	-	**442,278**
ხარჯების დაფინანსება	(428,003)	-	-	**(428,003)**
ნაშთი 2015 წლის 31 დეკემბრისთვის	**39,881**	-	-	**39,881**

ფუნქციონალური ხარჯების ანგარიშგება

ხარჯის დასახელება	HBS BMZ	USAID (ACCESS)	BMZ - 03	The State of Netherlands	NED 1181	DEATD-CANADA	RFSU	GIZ	OSGF 19775	U.S Embassy	NED 1153	The State of Netherlands (DUTCH)	ორგანიზაციული ხარჯი	სულ ხარჯები 2015	სულ ხარჯები 2014
შრომის ანაზღაურება	24,345	32,500	19,150	41,195	4,242	4,631	15,440	7,893	20,760	6,038	15,819	76,476	-	**268,490**	**196,244**
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	1,000	2,002	16,374	2,189	378	-	462	1,845	16,261	1,373	24,518	2,553	-	**68,955**	**29,716**
საიჯარო ქირა	3,051	4,613	700	1,776	592	-	3,300	-	3,262	3,040	2,940	3,906	-	**27,180**	**22,184**
საოფისე ხარჯი	1,807	1,238	2,277	1,812	77	-	1,444	1,318	1,905	2,443	3,409	4,378	-	**22,108**	**11,579**
მივლინება და სასტუმრო	-	-	8,592	340	-	-	-	4,185	400	2,174	470	4,536	-	**20,697**	**26,155**
პრეზენტაცია	-	-	-	11,820	-	-	-	1,191	2,342	-	-	-	-	**15,353**	-
ტრანსპორტირება	-	318	4,201	952	20	-	224	-	283	2,137	2,653	2,722	-	**13,510**	**19,789**
ცვეთა	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	5,862	**5,862**	**3,810**
ბანკის საკომისიო	60	28	113	82	13	1	29	-	197	52	165	133	-	**873**	**589**
სხვა საერთო და არასაოპერაციო ხარჯი	-	43	2,417	27	12	-	17	-	263	100	1,709	525	619	**5,732**	**16,887**
სულ ხარჯები	**30,263**	**40,742**	**53,824**	**60,193**	**5,334**	**4,632**	**20,916**	**16,432**	**45,673**	**17,357**	**51,683**	**95,229**	**6,481**	**448,759**	**326,953**

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	2015 წელი	**2014** წელი
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
საგრანტო დაფინანსებით მიღებული ფულადი სახსრები	612,614	367,843
თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(208,040)	(138,622)
დაქირავებულებზე გაცემული ჰონორარები	(6,638)	(11,850)
გადახდილი გადასახადები	(72,152)	(47,873)
მიღებული მომსახურება და შეძენილი საქონელი	(63,490)	(20,245)
ოფისის ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(20,674)	(11,277)
მივლინების ხარჯებისთვის გაწეული ფულადი სახსრები	(20,812)	(25,956)
იჯარის ხარჯი	(19,936)	(21,477)
ტრანსპორტირებისთვის გადახდილი თანხები	(14,246)	(19,789)
პრეზენტაციისთვის გადახდილი თანხები	(6,157)	-
წიგნებისთვის გადახდილი თანხები	(5,757)	(6,791)
ლექციებისთვის გადახდილი თანხები	(2,476)	-
საბანკო ხარჯი	(1,088)	(589)
სხვა ხარჯები	(4,987)	(9,579)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**166,161**	**53,795**
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5,386)	(10,401)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	**(5,386)**	**(10,401)**
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა	**160,775**	**43,394**
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	4,200	11,361
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	**93,220**	**38,465**
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის	**258,195**	**93,220**

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ

ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი (ს/კ 404432565), წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა პროფესიის მქონე ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო აქტივისტებს. იგი წარმოადგენს აქტივისტებისა და უფლებადამცველთა ღია პლატფორმას, ერთგვარ რესურსს, რომლის გამოყენების შესაძლებლობაც აქვს ყველა მსურველს, ვინც იზიარებს EMC-ის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს.

ორგანიზაცია დაარსდა 2012 წლის 28 ნოემბერს, სხვადასხვა გამოცდილების მქონე აქტივისტების მიერ. ამ დროიდან მოყოლებული, EMC ცდილობს იმუშაოს მარგინალიზებული და დისკრიმინირებული ჯგუფების უფლებების დაცვის, სამართალდამცავი ორგანოების სისტემური რეფორმირების, სტრუქტურული ძალადობისა და სოციალური ჩაგვრის საკითხებზე. ორგანიზაციის ძირითადი ბენეფიციარები არიან სოციალურად დაუცველი უსახლკარო პირები, მძიმე სამუშაო პირობებში დასაქმებულები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ლგბტ ადამიანები და რელიგიური ჯგუფები. თავის საქმიანობაში EMC იყენებს კვლევის, მონიტორინგის, ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების ინსტრუმენტებს.

აღნიშნულ თემატიკაზე EMC ოთხი ძირითადი პროგრამული მიმართულებით მუშაობს:

- ადამიანის უფლებების დარღვევათა დოკუმენტირება და ადვოკატირება;
- სოციალური უფლებების პროგრამა;
- ინსტიტუციური რეფორმების ხელშეწყობა;
- სამოქალაქო აქტივიზმის გაძლიერება;

ორგანიზაციული სტრუქტურა ჰორიზონტალურია და მას სამი პროგრამის დირექტორი კოლეგიურად, თანამშრომლების აქტიური მონაწილეობით, მართავს. ორგანიზაციისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხების გადაწყვეტა EMC-ის გუნდის მიერ კონსენსუსის გზით ხდება.

EMC-ის საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდა სამოქალაქო აქტივისტების პლატფორმის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავს ალტერნატიული სააზროვნო სივრცის შექმნასა და სტუდენტებისა და აქტივისტთა ორგანიზებული ჯგუფების მხარდაჭერას.

ამჟამად ორგანიზაცია აერთიანებს იურისტებისაგან, სოციოლოგებისაგან, ჟურნალისტებისა და გენდერის სპეციალისტებით დაკომპლექტებულ 19-კაციან გუნდსა და სხვადასხვა პროფესიის მქონე არაერთ კონტრიბუტორს, რომელთა ერთობლივი მუშაობაც მიმართულია EMC-ის მისიაში დეკლარირებული მიზნების შესრულებისაკენ.

2014 წლის 20 დეკემბერს, ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის "სამხრეთ კავკასიის რეგიონული ბიუროს" და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება "ინტერეს ჯგუფების გაძლიერება შრომითი უფლებების და გარემოს დასაცავად" პროექტის განსახორციელებლად, პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 10 ნოემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 53,815 ლარს.

2014 წლის 10 ივლისს "ღია საზოგადოება-საქართველოსა" და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის "სამართალდამცავი სისტემის ინსტიტუციური რეფორმა საქართველოში: პოლიტიზირებული სამართალდამცავი სისტემის წინააღმდეგ" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 10 ივლისიდან 2015 წლის 10 სექტემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 39,968.85 აშშ დოლარს.

2015 წლის 1 მარტს ჰაინრიჰ ბიოლის ფონდსა და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,სოლიდარობის ქსელი LGBT ადამიანებისათვის სომხეთსა და საქართველოში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 1 მარტიდან 2017 წლის 31 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 58,506 ევროს.

2014 წლის 10 ივნისს, ამერიკის საელჩოსა და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის „რელიგიის თავისუფლების მხარდაჭერა და რელიგიური უმცირესობების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდი შეადგენს 2014 წლის 15 ივლისიდან 2015 წლის 30 ივნისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 23,894 აშშ დოლარს.

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

2015 წლის 7 თებერვალს USAID-სა და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტის ,,შრომის პირობებისა და შრომის უსაფრთხოების მექანიზმების დანერგვის ხელშეწყობა (ACCESS)" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდი შეადგენს 2015 წლის 1 ივლისიდან 2016 წლის 31 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 79,178 აშშ დოლარს.

2015 წლის 29 ივნისს ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროსა და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა პოლიციის საქმიანობაში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 20 ივლისიდან 2016 წლის 20 ივლისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 66,390 ევროს.

2015 წლის 28 სექტემბერს EMC-ს და National Endowment for Democracy (NED)-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,ახალგაზრდულ ჯგუფებში აქტივიზმის ხელშეწყობის" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდი შეადგენს 2015 წლის 1 ნოემბრიდან 2016 წლის 31 ივლისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 31,850 აშშ დოლარს.

2014 წლის 16 სექტემბერს EMC-ს და National Endowment for Democracy (NED)-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,ახალგაზრდულ ჯგუფებში აქტივიზმის ხელშეწყობის'' განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 1 ოქტომბრიდან 2015 წლის 30 სექტემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 31,123 აშშ დოლარს.

2015 წლის 27 ნოემბერს EMC-ს და კანადის საგარეო საქმეთა სამინისტროს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,მარგინალიზებული ჯგუფების უფლებების დაცვის მხარდაჭერა სამოქალაქო განათლებისა და საჯარო დისკუსიების წახალისების გზით" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 4 დეკემბრიდან 2016 წლის 11 მარტამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 23,870 კანადურ დოლარს.

2014 წლის 5 ივნისს გაფორმდა თანამშრომლობის ხელშეკრულება „ააიპ საქართველოს დემოკრატიული ინიციატივას (GDI), EMC-ს და ააიპ ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტს (TDI) შორის პროექტის "ტოლერანტობის, რელიგიის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობა საქართველოში" განსახორციელებლად. პროექტის განხორციელების პერიოდია 2014 წლის 1 ივნისიდან 2016 წლის 1 ივნისამდე. EMC-ის გრანტის ოდენობა შეადგენს 94,435 ევროს.

2015 წლის 29 ივნისს RFSU-ს და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,EMC-ის მიერ, ადამიანის უფლებების დაცვის პროცესში, სქესობრივი და რეპროდუქციული ჯანმრთელობის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული მიდგომის გაძლიერება ორგანიზაციის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ადვოკატირების ხელშეწყობის გზით" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2015 წლის 1 სექტემბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 128,604 შვედურ კრონას.

2013 წლის 11 ივლისს ამერიკის საელჩოსა და EMC-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება პროექტის ,,უფასო სამართლებრივი დახმარება რელიგიური უმცირესობებისათვის" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2013 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 30 ივლისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 22,320 აშშ დოლარს.

2014 წლის 5 მაისს ევროპის საკონსულოსა (COE) და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტის „ქალი კანდიდატებისა და არჩეული თანამდებობის პირების შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 1 მაისიდან 2014 წლის 1 ოქტომბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 30,316.58 ევროს (დღგ-ის ჩათვლით).

2013 წლის 26 ნოემბერს საგრანტო ხელშეკრულება გაფორმდა EMC-სა და G-PAC-ს შორის პროექტის ,,უსახლკარო პირთა უფლებების დაცვა" განსახორციელებლად. პროექტის განხორციელების პერიოდია 2013 წლის 15 ნოემბრიდან 2014 წლის 15 მაისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 14,458 აშშ დოლარს.

შენიშვნა 1: ორგანიზაციის შესახებ *(გაგრძელება)*

2014 წლის 10 ივნისს, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებას (GIZ) და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება იურიდიული ლიტერატურის დაკაბადონების, ბეჭდვისა და განაწილებისთვის. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 15 ივნისიდან 2015 წლის 20 იანვრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 33,520 ლარს.

2013 წლის 19 ივლისს, OSGF-სა და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტის "გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა საქართველოში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2013 წლის 19 ივლისიდან 2014 წლის 19 აპრილამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 26,410 აშშ დოლარს.

2013 წლის 23 დეკემბერს OSGF-სა და EMC-ს შორის დაიდო ხელშეკრულება პროექტის "ცეცხლსასროლი იარაღებისა და ნარკოტიკული დანაშაულების გავლენა სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაზე" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2013 წლის 12 დეკემბრიდან 2014 წლის 12 ივნისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 21,961 აშშ დოლარს.

2014 წლის 14 აპრილს ფონდმა "ტასომ" EMC-ს მისცა გრანტი პროექტის, ,,ორმაგი ჩაგვრის ზღვარზე" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 14 აპრილიდან 2014 წლის 14 სექტემბრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 1,750 ლარს.

2014 წლის 04 აპრილს ქალთა ფონდსა და EMC-ს შორის დადებულია ხელშეკრულება პროექტის "ორმაგი ჩაგვრის ზღვარზე" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2014 წლის 4 აპრილიდან 2014 წლის 4 აგვისტომდე. გრანტის მთლიანი ოდენობაა 1,000 გირვანქა სტერლინგი.

2013 წლის 1 აგვისტოს დადებულია ხელშეკრულება დიდი ბრიტანეთის და EMC-ს შორის პროექტის "საჯარო სკოლებში სეკულარული და ტოლერანტული გარემოს არსებობის ხელშეწყობა" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2013 წლის 1 აგვისტოდან 2014 წლის 30 იანვრამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 6,000 გირვანქა სტერლინგს.

2013 წლის 22 ნოემბერს დაიდო ხელშეკრულება ევრაზიის თანამშრომლობის ფონდსა და EMC-ს შორის პროექტის "დამოუკიდებლობის მაღალი სტანდარტების ადვოკატირება ქართულ სასამართლო სისტემაში" განსახორციელებლად. პროექტის ხანგრძლივობის პერიოდია 2013 წლის 1 დეკემბრიდან 2014 წლის 31 ივლისამდე. გრანტის მთლიანი ოდენობა შეადგენს 39,410 ლარს.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა

(ა) ფინანსური ანგარიშგების წარდგენის საფუძვლები

ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა დარიცხვის პრინციპის და ისტორიული ღირებულების პრინციპების გამოყენებით.

პირვანდელი ღირებულების პრინციპის მიხედვით აქტივების აღრიცხვა ხდება მათი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ეკვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მათი შეძენის მომენტში. ვალდებულებები აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ; ზოგიერთ შემთხვევაში კი იმ თანხით, რომლის ორგანიზაციიდან გასვლა მოსალოდნელია ამ ვალდებულების დასაფარავად ორგანიზაციის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

დარიცხვის მეთოდის თანახმად, სამეურნეო ოპერაციების შედეგებისა და სხვა მოვლენების აღიარება ხდება მათი მოხდენისთანავე (და არა ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების მიღებისა და გადახდის დროს). ამასთან ისინი ტარდება სათანადო ბუღალტრულ დოკუმენტებში და აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელსაც განეკუთვნება.

(ბ) შეფასებების გამოყენება

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს შეფასებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე, შესრულებული ოპერაციების შედეგად წარმოქმნილი ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არსებული პირობითი აქტივებისა და ვალდებულებების მოცულობაზე და საანგარიშო პერიოდში წარმოდგენილი შემოსავლებისა და ხარჯების თანხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს მაჩვენებლები ეყრდნობა მენეჯმენტის მხრიდან არსებული მოვლენებისა და ქმედებების ცოდნას, ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა საბოლოო ჯამში განსხვადებოდეს ამ შეფასებებისაგან.

(გ) ფინანსური ანგარიშგების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტა

ორგანიზაციის საოპერაციო და სააღრიცხვო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. თუმცა, ზოგიერთი გრანტი დონორისგან მიღებულია ევროში, ფუნტ სტერლინგში, შვედურ კრონაში და დოლარში. ზოგიერთი ფინანსური რეპორტი დონორთან წარდგენილია ევროში, ფუნტ სტერლინგში, შვედურ კრონაში და დოლარში, თუმცა ანგარიშგება მზადდება ლარებში. ძირითადი ოპერაციები სრულდება ქართულ ლარებში.

(დ) უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება საქმიანობის შედეგების ანგარიშგებაში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. 2015 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოური ვალუტის ნაშთების ლარებში გადაყვანისათვის გამოყენებული ძირითადი განაკვეთი იყო:

	დეკემბერი 31, 2015	**დეკემბერი 31, 2014**
GEL / 1 აშშ დოლარი	2.3949	1.8636
GEL / 1 ევრო	2.6169	2.2656
GEL / 1 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	3.5492	2.8932
GEL/ 10 შვედური კრონა	2.8599	2.3914

(ე) საგრანტო შემოსავალი და გადავადებული გრანტი

ორგანიზაცია დონორისგან მისაღებ, ხელშეკრულებით განსაზღვრულ თანხებს აღრიცხავს როგორც გადავადებულ გრანტს. ხოლო პროგრამის შესაბამისი დანახარჯების გაწევის და მათი აღიარების შემდეგ, შესაბამისი თანხით მცირდება გადავადებული გრანტის ოდენობა და ხდება ამ თანხის შემოსავლად აღიარება.

შენიშვნა 2: სააღრიცხვო პოლიტიკა *(გაგრძელება)*

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში არსებული ნაღდი ფულისაგან და ბანკში არსებული ფულადი სახსრებისგან.

(ზ) გადასახადები

EMC, როგორც არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, იხდის შემდეგ გადასახადებს:

საშემოსავლო გადასახადი (20%). აღნიშნული გადასახადი გადაიხდება მთლიანი ხელფასიდან და მასთან დაკავშირებული შეღავათებიდან, რომლებიც თანამშრომლებზე გაიცემა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული გადასახადი ხარჯების ანგარიშგებაში შედის, როგორც ხელფასის შემადგენელი ნაწილი და მასთან დაკავშირებული შეღავათები.

(თ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები მოცემულია ისტორიული ღირებულებით მინუს ცვეთა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებულ დანახარჯებს. ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება შემცირებადი ნაშთის მეთოდით მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ძირითადი საშუალებების გაყიდვა/ჩამოწერასთან დაკავშირებული მოგება ან ზარალი დგინდება ნარჩენ ღირებულებაზე დაყრდნობით და გაითვალისწინება მიმდინარე მოგების განსაზღვრისას. ძირითადი საშუალებების მომსახურების ხარჯები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, ხარჯების გაწევის მომენტში.

(ი) წმინდა აქტივების კლასიფიკაცია

წმინდა აქტივები შედგება შეუზღუდავი წმინდა აქტივებისა და დროებით შეზღუდული წმინდა აქტივებისაგან:

შეუზღუდავი წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ შემოსავლებს და დონორისგან მიღებულ იმ შენატანებს, რომლებზეც არ ვრცელდება დონორის შეზღუდვები. ეს წმინდა აქტივები ორგანიზაციისთვის ხელმისაწვდომია საოპერაციო მიზნებისათვის.

დროებით შეზღუდული წმინდა აქტივები – წარმოადგენს ორგანიზაციის ფონდების იმ ნაწილს, რომელიც შექმნილია აქტივების შენატანებით და სხვა წყაროებით, რომელთა გამოყენება ორგანიზაციას განსაზღვრული აქვს დონორის მიერ დაწესებული შეზღუდვებით, რომელიც არ იწურება დროთა განმავლობაში, ასევე ორგანიზაციის მიერ არ შეიძლება სხვაგვარად შესრულდეს ან გაუქმდეს;

(კ) შემოსავალი

შეუზღუდავი და დროებით შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც შემოსავალი, როდესაც მოხდება დონორთან ხელშეკრულების გაფორმება. შეზღუდული ფონდები აღიარდება როგორც გადავადებული შემოსავალი იმდენად, რამდენადაც მოხდება ფაქტიური დანახარჯების გაწევა და დონორის მიერ დაწესებული დროითი ლიმიტების გათვალისწინება. სხვაობა შეზღუდულ მიღებულ ფონდებსა და გაწეულ დანახარჯებს შორის აღიარდება, როგორც შეზღუდული წმინდა აქტივი თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

შენიშვნა 3: ფული და ფულის ეკვივალენტები

3.1 ნაღდი ფული და ფული ბანკში

	2015 წელი	**2014** წელი
ნაღდი ფული სალაროში	-	-
ფული ბანკში	258,195	93,220
სულ	**258,195**	**93,220**

3.2 ფული ბანკში ვალუტების მიხედვით

	2015 წელი	**2014** წელი
ლარი	93,349	93,125
აშშ დოლარი	68,456	-
ევრო	96,390	95
სულ	**258,195**	**93,220**

შენიშვნა 4: მისაღები გრანტები

	2015 წელი	**2014** წელი
USAID (ACCESS)	124,317	-
HBS BMZ	120,420	-
NED 1181	35,924	-
The State of Netherlands	35,048	-
The State of Netherlands (DUTCH)	14,401	116,701
DEATD-CANADA	3,427	-
GIZ	-	8,520
OSGF 19775	-	34,027
NED 1153	-	37,272
სულ	**333,537**	**196,520**

შენიშვნა 5: ძირითადი საშუალებები

2015 წელი

	კომპიუტერი და ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	20,239	3,451	23,690
2015 წლის შეძენები	4,611	754	5,366
ნაშთი 31 დეკემბერი 2015	**24,850**	**4,205**	**29,056**
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	3,454	1,157	4,611
2015 წლის პერიოდის ცვეთა	4,503	1,359	5,862
ნაშთი 31 დეკემბერი 2015	**7,957**	**2,516**	**10,473**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	16,785	2,294	16,785
ნაშთი 31 დეკემბერი 2015	**16,893**	**1,689**	**18,582**

2014 წელი

	კომპიუტერი და ტექნიკა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2013	10,751	2,637	13,389
2014 წლის შეძენები	9,488	814	10,301
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	**20,239**	**3,451**	**23,690**
აკუმულირებული ცვეთა			
ნაშთი 31 დეკემბერი 2013	721	80	801
2014 წლის პერიოდის ცვეთა	2,733	1,077	3,810
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	**3,454**	**1,157**	**4,611**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
ნაშთი 31 დეკემბერი 2013	10,030	2,557	12,588
ნაშთი 31 დეკემბერი 2014	**16,785**	**2,294**	**19,078**

შენიშვნა 6. გადავადებული შემოსავალი

	2015 წელი	2014 წელი
USAID (ACCESS)	144,582	-
HBS BMZ	117,719	-
The State of Netherlands	108,824	-
The State of Netherlands (DUTCH)	74,598	172,233
NED 1181	70,771	-
DEATD-CANADA	36,710	-
RFSU	12,621	-
OSGF 19775	-	42,566
NED 1153	-	41,777
GIZ	-	19,340
U.S. Embassy		16,560
სულ	**565,825**	**292,476**

შენიშვნა 7: გადავადებულ გრანტებში მოძრაობა

	2015 წელი	2014 წელი
გადავადებული გრანტის საწყისი ნაშთი	292,476	106,796
პლიუს: პერიოდში გაფორმებული ხელშეკრულებები	715,627	507,237
მინუს: პერიოდის შემოსავლებში გადატანილი გადავადებული გრანტები	(442,278)	(321,557)
გადავადებული გრანტის საბოლოო ნაშთი	**565,825**	**292,476**

შენიშვნა 8: ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

სასამართლო საქმეების წარმოება

2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის ორგანიზაცია არ იყო ჩართული სამართალწარმოებაში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობაში არის არაერთმნიშვნელოვანი დებულებები, რომლებიც ტოვებს მათი სხვადასხვაგვარი ინტერპრეტირების შესაძლებლობას. კანონმდებლობის მოთხოვნების მენეჯმენტის მიერ მიღებული ინტერპრეტაცია, რომელიც გამოიყენება ორგანიზაციის ტრანზაქციებისა და საქმიანობის აღრიცხვისა და მართვისათვის შეიძლება ეჭვის ქვეშ დადგეს ან არასწორად იქნეს მიჩნეული რეგიონალური და ცენტრალური მარეგულირებელი ორგანოების მიერ. დასაშვებია, რომ საგადასახადო ორგანოები უფრო ხისტად დაიცავენ კანონმდებლობის მოთხოვნების საკუთარ ინტერპრეტაციას. შედეგად, შესაძლოა დარიცხულ იქნას მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

საოპერაციო გარემო

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველომ განიცადა სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები. როგორც განვითარებადი ბაზრის საქართველოს არ გააჩნია კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც ზოგადად უფრო განვითარებულ ბიზნეს ბაზარზე არსებობს. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყანაში მოქმედ ბიზნესებზე ექვემდებარებიან სწრაფ ცვლილებას. გარდა ამისა, ეკონომიკური სტაბილურობის გაგრძელება დამოკიდებულია მეტწილად მთავრობის მიერ მიღებულ ფისკალურ ზომების ეფექტურობაზე, საერთაშორისო საკრედიტო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებზე და ორგანიზაციის კონტროლს მიღმა სხვა ქმედებებზე.

- დოკუმენტის დასასრული -